ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №289423

ნომერი: AR158327

თარიღი : 13.06.2012

გაცემის თარიღი : 01.08.2012

გაცნობის თარიღი : 01.08.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N 186 (ნაკვეთი N 023/059);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გრიგოლ ქურიძე პ/ნ 01011061220
- თბილისი გ.ონაშვილის ქ. კორ. 9 ბ. 26

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

გადაწყვეტილება

განმცხადებელს სამსახურის 12.07.2012 წლის #AR158327 ბრძანებით დაევალა გარკვეული სახის დოკუმენტაციის (მათ შორის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.13.07.023.073–ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე(ები)ს მიერ გაცემული თანხმობის – ობიექტის ლეგალიზებაზე) 10 დღის ვადაში წარმოდგენა, სადაც იმავდროულად განემარტა, რომ დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩებოდა განუხილველი.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტი, კერძოდ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.13.07.023.073–ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე(ები)ს მიერ გაცემული თანხმობა ობიექტის ლეგალიზებაზე, შესაბამისად #AR158327 განცხადება დარჩა განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.